



DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი

მარტი 2020

გამოგვევით სოციალურ მედიაში

facebook.com/dwv.ge

linkedin.com/company/dwvge

სიახლე! გამოვიდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წლიური ანგარიში 2019



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების, 2019 წლის ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის სრულ მიმოხილვას, აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციას მისი წევრების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@dwv.ge

ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გთავაზობთ არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ ზანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება განსხვავებული პირობებით როგორცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: zaira.soloeva@dwv.ge

DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზოგადოება (DEG, www.deginvest.de) 50 წელზე მეტია აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@dwv.ge


ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულაციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები:

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://www.facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://www.linkedin.com/company/dwvge)

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოვენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაერთიანება

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.

იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/>

ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებულია ქვეყნებისთვის (Trade Helpdesk)

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებული ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე დღისა და დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: [EU Neighbourhood Info](#)

დაგეგმილი ღონისძიებები

საერთაშორისო გამოფენა - Automechanika Istanbul

2020 წლის 25-28 ივნისს, Messe Frankfurt ქალაქ სტამბულში მართავს საერთაშორისო გამოფენას Automechanika Istanbul 2020.

დამთვალიერებელს შანსი ეძლევა გაეცნოს ინოვაციებსა და ახალ შესაძლებლობებს ავტომობილებისა და სარემონტო მომსახურების სფეროში.

საერთაშორისო გამოფენა Automechanika Istanbul არის ცენტრალური პლატფორმა ახალი კონტაქტებისათვის. აქ ბიზნეს პარტნიორობა, იდეები და წარმატება ხალხს აერთიანებს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

BFP-ს დელეგაციის ვიზიტი: სასაწყობო მეურნეობის და სატრანსპორტო სისტემების მშენებლობა და მოდერნიზაცია



ბავარიის ეკონომიკის სამინისტროს Bayern - Fit for Partnership-ის

პროექტის ფარგლებში, ქართულ კომპანიებს, 2020 წელსაც, შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს დელეგაციაში ბავარიის, რათა გაეცნონ პოტენციური საქმიანი პარტნიორები და დაამყარონ სასურველი ბიზნეს კონტაქტები. ამჯერად, BFP-ს დელეგაციის ვიზიტის მიზან ჯგუფს წარმოადგენენ ქართული სატრანსპორტო და ლოგისტიკური სექტორის წარმომადგენლები.

პროექტის ორგანიზატორები არიან ბავარიული კომპანია, em&s GmbH, და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV).

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

DWV-ს ახალი წევრები

DWV გულითადად მიესალმება თავის ახალ წევრებს:

სრული წევრები:

Museum LLC

სასტუმრო & რესტორანი www.museumhotel.ge



DB Schenker

ტრანსპორტი & ლოგისტიკა www.dbschenker.com



DWV-ს წევრებისა და პარტნიორების სიახლეები და ღონისძიებები

შერატონ მეტეხი პალასი მთავრობას საკარანტინე სივრცეს უფასოდ გადასცემს



ამის შესახებ სასტუმროს მენეჯმენტი განცხადებას ავრცელებს. ისინი აღნიშნავენ, რომ კორონავირუსის გავრცელების გამო, მსოფლიო პანდემიის წინაშეა და სასტუმროს

მფლობელი საქართველოს მხარს უჭერს და თანადგომას უცხადებს.

კომპანიის განცხადება იხილეთ აქ.

აჭარა ჯგუფმა სასტუმრო Holiday Inn Tbilisi სახელმწიფოს უფასოდ გადასცა საკარანტინე სივრცეებისთვის



კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აჭარა ჯგუფი მათ მმართველობაში არსებულ ყველაზე მასშტაბურ და მრავალ ოთახიან სასტუმროს Holiday Inn Tbilisi

სახელმწიფოს უთმობს. სასტუმრო უცხოეთიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეებს მიიღებს,

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

რომელთაც სავალდებულო ორკვირიანი თვითიზოლაციის პერიოდის გავლა უწევთ. ისინი მიყვებიან ყველა რეკომენდაციას და იცავენ უსაფრთხოების მკაცრ ნორმებს კარანტინში მყოფი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის.

თბილისი COVID-19-ის 10,000 სწრაფი ტესტი შეიძინა



თბილისი ბანკმა მთავრობასთან კონსულტაციების საფუძველზე, პროგრამის „თბილისი შენთვის“ ფარგლებში COVID-19-

ის 10 000 სწრაფი ტესტი შეიძინა.

ტესტები საქართველოში უახლოეს დღეებში ჩამოვა და ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცემა.

ჯამში, პროგრამა „თბილისი შენთვის“ ფარგლებში 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება სხვადასხვა პროექტზე, რომელიც თბილისი COVID-19 -ის გამოწვევების დასაძლევად წამოიწყო.

უფასო კონსალტინგი - Nexia TA-სგან: MOVE ON GEORGIA



Nexia TA, იმ სექტორებში მოღვაწე კომპანიებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ჭირდება მხარდაჭერა

- საავადმყოფოებს, რომლებიც უშუალოდ ჩართულები არიან COVID-19-თან ბრძოლაში;
- HoReCa სექტორს;
- სატრანსპორტო და ტურისტულ სექტორებს;
- კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ საქართველოში;
- სადისტრიბუციო და რითეილ სექტორებს.

სთავაზობს დისტანციურად შემდეგ უფასო საკონსულტაციო მომსახურებებს:

- 1 თვიანი უფასო საგადასახადო კონსულტაციები;
- 1 თვიანი უფასო საბუღალტრო კონსულტაციები;
- 1 თვიანი უფასო Nexia TA Legal-ის მომსახურება სასტუმროებისთვის;
- 1 თვიანი უფასო Nexia TA Legal-ის მომსახურება ბიზნეს სამართლებრივ ურთიერთობებში საავადმყოფოებისთვის, რომლებიც უშუალოდ ჩართულები არიან COVID-19-თან ბრძოლაში;





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

- 3 თვის განმავლობაში ყოველი მიმდინარე თვის რეპორტიინგი და ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი.

მომსახურების მისაღებად, გთხოვთ დარეგისტრირდეთ მითითებულ ბმულზე: <https://bit.ly/3aiRhBJ>

ნიკორამ StopCOV ფონდში 100 000 ლარი გადარიცხა



ნიკორა განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ის აცნობიერებს პასუხისმგებლობას და StopCOV ფონდში 100 000 ლარს რიცხავს.

„კომპანია “ნიკორა” ვირუსის გავრცელების პირველივე დღიდან აცნობიერებს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე აკისრია. გამომდინარე აქედან, მაქსიმალურ ზომებს ვიღებთ, რათა ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი ფუნქცია/მოვალეობა, ვუზრუნველვყოთ წარმოებისა და სავაჭრო ქსელის გამართული მუშაობა, მიწოდების უწყვეტი ჯაჭვი, რათა ჩვენს მოსახლეობას არ შეეკმნას პროდუქციის მომარაგების მხრივ დისკომფორტი.

ჩვენ ვინარჩუნებთ და არ ვზრდით ფასებს საკუთარი წარმოების პროდუქციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმოების დიდი ნაწილი იმპორტირებულ ნედლეულზეა დამოკიდებული და პროდუქტის ფასი პირდაპირ პროპორციულია ლარის კურსის ცვლილებასთან, ჩვენს მიერ წარმოებულ, 500-ზე მეტი დასახელების პროდუქტზე, ფასი უცვლელი რჩება. ჩვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში, შევუერთდით სოციალურ კამპანიას და შეძლებისდაგვარად პროდუქციით დახმარება გავუწიეთ იმ ადამიანებს, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს თანადგომას.

„ნიკორა“ მიესალმება StopCOV ფონდის შექმნას და ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში 100 000 ლარს რიცხავს. ასევე მივესალმებით ყველა კომპანიის გაღებულ კონტრიბუციას, რომელიც მიმართულია COVID19 -ის წინააღმდეგ. ერთად დგომით ყველაფერს შევძლებთ, ერთად ყველაფერი გამოგვივა“.

COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად თეგეტა მოტორსმა სამთავრობო ფონდში 200 000 ლარი გადარიცხა



თეგეტა მოტორსმა გაავრცელა განცხადება, სადაც კომპანია მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს განმარტავს და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს მიესალმება.

„დღეს მთავარი ამოცანაა მაქსიმალური სიფრთხილით და წინდახედულებით ვიზრუნოთ ადამიანების ჯანმრთელობაზე და ყველაფერი ვიღონოთ, რათა ხელი შევუშალოთ ვირუსის სწრაფ გავრცელებას, რისთვისაც აუცილებელია სოციალური დისტანცირების პრინციპების მკაცრად დაცვა.

ამ მიმართულებით “თეგეტა მოტორსი” მიესალმება ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და გადადგმულ ნაბიჯებს. ჩვენ გვჯერა, რომ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პროფესიონალური და კოორდინირებული მოქმედება გადამწყვეტ გავლენას მოახდენს პანდემიით გამოწვეული ზიანის მინიმიზაციაზე.

მეორე მხრივ, ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მინიმალურად შესაძლებელი ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებას. ჩვენ უნდა მოვახერხოთ და გავაგრძელოთ ფუნქციონირება, იმ პირობით, რომ მკაცრად შევასრულებთ ჯანმრთელობის უსაფრთხოების ყველა აუცილებელ მოთხოვნას და დავიცავთ მთავრობის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს. ამ მიდგომას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად.“

m² დეველოპმენტი COVID19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად 100 000 ლარს გამოყოფს



m²-ის განცხადებით, აღნიშნული თანხა გამოიყოფა „m³ საბურთალოს“ პროექტში გაყიდული ბინებიდან და შესაბამისად, სწორედ ამ უბნის მომავალი მოზინადრეები შეიტანენ საკუთარ წვლილს ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

„მიგვაჩნია, რომ ასეთ დროს სახელმწიფო, საზოგადოება და კერძო სექტორი ერთად უნდა იდგეს და საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ჩაერთოს მაქსიმალურად.

კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, ექიმები მარტო აღარ არიან, ისინი იბრძვიან წინა ხაზზე, მაგრამ მათი ზურგის გამაგრება ყოველი ჩვენგანის ვალია“ – განაცხადა ნიკოლოზ მემმარიაშვილმა, m² დეველოპმენტის გენერალურმა დირექტორმა.

ორიენტ ლოჯიკი კორონა ვირუსის საწინააღმდეგოდ ბრძოლის მხარდასაჭერად შექმნილ ფონდში 20 000 ლარს გადარიცხავს



„ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ფონზე, ორიენტ ლოჯიკის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობიდან

გამომდინარე, გადაწყვიტეთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ Covid-19-ის საწინააღმდეგოდ გამოცხადებულ საყოველთაო ბრძოლაში და მთავრობის მიერ ინიცირებულ ფონდში “StopCov” 20 000 ლარი გადავრიცხოთ.

გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, ორიენტ ლოჯიკის გუნდი არ დაზოგავს ინტელექტუალურ რესურსსა და კომპეტენციას რათა, ჩვენი მხრივ, დავეხმაროთ პარტნიორ კომპანიებს, კერძო ბიზნესებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს სრულყოფილ ოპერირებაში. ჩვენი გუნდი სრულ მზადყოფნაშია საქართველოს ბაზარზე არსებული კომპანიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების დასახმარებლად კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას თავიდან აიცილონ არსებული კიბერუსაფრთხოებები.“

საქართველოს ბანკი ჯანდაცვის სამინისტროს 20 000 ტესტსა და სამედიცინო აღჭურვილობას გადასცემს



საქართველოს ბანკი ავრცელებს განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ

ჯანდაცვის სამინისტროს COVID 19-ის 20 000 ტესტს და საჭირო სამედიცინო აღჭურვილობას გადასცემს.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

„ქვეყნის ყველაზე დიდ გამოწვევასთან, COVID-19-ის გავრცელებასთან ბრძოლაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დეფიციტური სამედიცინო აღჭურვილობა, სწორედ ამიტომ, საქართველოს ბანკი საქართველოსთვის შეიძენს:

- 20 000 ლაბორატორიულ ტესტს
- 10 სასუნთქ აპარატს
- 50 000 პირბადეს
- 60 000 ხელთათმანს

აღჭურვილობა მთლიანად გადაეცემა ჯანდაცვის სამინისტროს ვირუსთან ბრძოლის ეფექტურად გასაგრძელებლად“

თიბისი COVID 19-ის გამოწვევების დასაძლევად 5 მილიონ ლარზე მეტს გაიღებს



თიბისი შენთვის - თიბისი საქართველოს მოსახლეობის მხარდასაჭერად პროგრამას

ქმნის, რომელიც COVID-19-ის მიერ მიყენებული ზიანის შესამცირებლად თიბისის ინიცირებულ ყველა პროექტს გააერთიანებს.

მხარდაჭერის პროგრამა 2 კომპონენტისგან შედგება: 2 მილიონი ლარი სოციალური დახმარების ინიციატივებისთვის, სადაც აქცენტი გაკეთდება დისტანციური განათლების ხელშეწყობაზე, ხანდაზმულების დახმარებასა და ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებაზე; 3 მილიონ ლარზე მეტი კი, მომდევნო ორი თვის განმავლობაში მომხმარებლების საკომისიო ხარჯის შესამსუბუქებლად, როგორც ფიზიკური პირების, ისე ბიზნესებისთვის.

ასევე, ამოქმედდება ონლაინ პლატფორმა - „თიბისი შენთვის“, სადაც თავმოყრილი იქნება თიბისის და მისი პარტნიორების ყველა ციფრული სერვისი, რაც მომხმარებლებს გაციფრულებაში დაეხმარება. აქცენტი გაკეთდება, მოსახლეობის და ბიზნესების მხარდაჭერაზე, დისტანციურ განათლებაზე, ონლაინ კომერციაზე და სხვა მრავალ სერვისზე, რომელიც შექმნილ ახალ რეალობაში მომხმარებელს ცხოვრებას გაუმარტივებს.

მთლიანობაში, თიბისი მომდევნო ორი თვის განმავლობაში მოსახლეობის მხარდასაჭერად 5 მილიონ ლარზე მეტს





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

გაიღებს, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის საკომისიო ხარჯის შემსუბუქებაში და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში.

დიო მომხმარებელთა მომსახურებას ონლაინ რეჟიმში კვლავ განაგრძობს



21 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით ქვეყანაში საგანგებო რეჟიმის გამოცხადების მიუხედავად, ინფრასტრუქტურული და სამშენებლო მიმართულება არ ჩერდება - შესაბამისად კომპანია დიო აგრძელებს მუშაობას. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომპანიაში აცხადებენ: „ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თბილისსა და რეგიონებში არსებული შოურუმების ფუნქციონირება გარკვეული დროით შეჩერებულია, თუმცა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდისათვის საწარმოებს საქმიანობის გაგრძელება კვლავინდებურად შეუძლია, შესაბამისად მომხმარებელს აქვს საშუალება ისარგებლოს ონლაინ გამოძახებით, ცხელ ხაზზე - 2361112 დაგვიკავშირდეს ან მოგვწეროს სოციალურ ქსელებში და სასურველი პროდუქტი სახლიდან გაუსვლელად შეუკვეთოს. კომპანია ითვალისწინებს თავის წილ პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს, როგორც ამზომველ სპეციალისტებს, ისე სამონტაჟო ჯგუფს შესაბამისი ეკიპირებით. მაქსიმალურად დაცულია უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები, რაც კი შეიძლება რომ გაკეთდეს.

დიოს ვებ გვერდზე: <http://dio.ge/georgian/order> მომხმარებელს მარტივად აქვს საშუალება ინტერიერისა და ექსტერიერის 70-მდე დასახელების - მრავალფეროვანი პროდუქცია დაათვალიეროს, შეისწავლოს ვიზუალი სიღრმისეულად, ჩამოთვლილი პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად იხილოს და კომპლექსური შეკვეთისას ფასდაკლებითაც ისარგებლოს.

იურიდიული ფირმა თორაძე & პარტნიორების მომსახურება



აარიდეთ თავი იუსტიციის სახლებში რიგში დგომას და ამავედროულად მიიღეთ საჯარო

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

რეესტრის ან სამეწარმეო რეესტრის მომსახურება თბილისის ტერიტორიაზე.

საადვოკატო ბიურო Toradze & Partners უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის წარმომადგენლის თქვენთან მოსვლას თქვენთვის სასურველ ადგილზე და სასურველ დროს.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ელ. ფოსტაზე: office@tpa.ge

თიბისი ბანკი სესხების შეტანაზე სამთვიან საშელავათო პერიოდს აწესებს



ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თიბისიმ მიიღო

გადაწყვეტილება, რომ ყველა ფიზიკურ პირს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მსესხებელს და ასევე ყველა მსხვილ ბიზნესს, რომელიც ტურისტულ, კვების და ისეთ ინდუსტრიაში საქმიანობს, რომელიც საზოგადოებრივ თავშეყრას უკავშირდება, შესთავაზოს სესხების შენატანზე სამთვიანი საშელავათო პერიოდი.

საშელავათო პერიოდი შეეხება სესხის როგორც ძირს, ისე პროცენტს.

„სესხების გადავადება არ გამოიწვევს მომხმარებლისთვის პროცენტის მომატებას. გადავადება შეეხება ყველა სახის სესხს, მათ შორის განვადებებს და საკრედიტო ბარათებს. შეღავათით სარგებლობა ნებაყოფლობითია და თუ მომხმარებლებს აქვთ სურვილი, შეუძლიათ გადახდა ჩვენი დისტანციური არხებით გააგრძელონ,“ – განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ პრესკონფერენციაზე.

საშელავათო პერიოდი თიბისი ლიზინგისგან



ყველა ფიზიკურ პირს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მსესხებელს და ასევე ყველა ბიზნესს, რომელიც ტურისტულ, კვების და ისეთ ინდუსტრიაში საქმიანობს, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრით ხასიათდება, თიბისი ლიზინგი შენატანზე სამთვიან საშელავათო პერიოდს სთავაზობს.





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

საშელავათო პერიოდი შეეხება ლიზინგის როგორც ძირს, ისე პროცენტს.

ქართული კრედიტი მომხმარებელს შეღავათებს სთავაზობს



ქართული კრედიტის გუნდი, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად შესთავაზებს მომხმარებლებს სესხის გადახდაზე საშელავათო პერიოდს.

დეტალურ ინფორმაციას სესხებთან დაკავშირებით მომხმარებლები მიიღებენ ინდივიდუალურად.

Jorbenadze & Gatsserelia Counselors-ის ბლოგი თემაზე: სამედიცინო სამართალი



Jorbenadze & Gatsserelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი სამედიცინო სამართლის შესახებ -

Covid-19 ვირუსი და პერსონალური მონაცემები იხილეთ აქ.

გადახდისუნარიანობაზე მორგებული პირობები პროკრედიტ ბანკში



შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პროკრედიტ ბანკი მზად არის, ფინანსური პრობლემების არსებობის შემთხვევაში, თითოეული მსესხებლის მდგომარეობა ინდივიდუალურად, დროულად განიხილოს და თქვენს გადახდისუნარიანობაზე მორგებული პირობები შემოგთავაზოთ, საჭირო პერიოდის მანძილზე (3 თვე, 6 თვე თუ მეტი).

ბანკის მომსახურების პრინციპი დისტანციური არხების გამოყენებას გულისხმობს, რაც საშუალებას გვაძლევს, დღეს, ჩვეულ რეჟიმში განვაგრძოთ საქმიანობა და უზრუნველვყოთ თქვენი საბანკო საჭიროებები.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

საქართველოს ბანკის ინიციატივა კრედიტებთან დაკავშირებით



საქართველოს ბანკი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალი ინიციატივით გამოდის. კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის თავშეყრის ადგილებში ხალხის ნაკადის შემცირების მიზნით საქართველოს ბანკის მომხმარებელ ფიზიკურ პირებს სასესხო ვალდებულებებზე 3-თვიან საშელავათო პერიოდს სთავაზობს.

ეს შეღავათი ვრცელდება ყველა სესხზე: იპოთეკა, სამომხმარებლო, განვადება, საკრედიტო ბარათი, იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც არის გაცემული სესხი.

Jorbenadze & Gatsserelia Counselors-ის ბლოგი თემაზე: სპორტის სამართალი



Jorbenadze & Gatsserelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი სპორტის სამართლის შესახებ -

Covid-19, FIFA, UEFA და საქართველო იხილეთ აქ.

მირცხულავას ქუჩაზე „m² ჯგუფის“ მიერ გადმოზარებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები დაიწყო



11 მარტს მირცხულავას ქუჩაზე „m² ჯგუფის“ მიერ გადმოზარებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები დაიწყო, პირველი სამუშაო დღე ქალაქ თბილისის მერმა კახი კალაძემ გახსნა.

სამშენებლო სამუშაოები, „სვეტის“ დანარჩენ ობიექტებზე (ნუცუბიძის ქუჩის #125ა და ჭყონდიდელის ქუჩის #22) ეტაპობრივად განახლდება.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 250 000 000 ლარს შეადგენს და სრულად ფინანსდება „m² ჯგუფის“ მიერ, ხოლო ობიექტების სამშენებლო-საინჟინრო მიმართულებას „m² ჯგუფის“ სამშენებლო კომპანია BK Construction-ი განახორციელებს.





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

ორიენტ ლოჯიკის სერვის ცენტრი ახალ ლოკაციაზე გადადის



30 მარტიდან ორიენტ ლოჯიკის სერვის ცენტრის მომსახურებით სარგებლობას ახალ მისამართზე შეძლებთ.

საგარანტიო მომსახურების მისაღებად კომპანიას ეწვეით ვაშლიჯვარში, ვასო გომიაშვილის 71 ნომერში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით: 2541818 (შიდა ნომერი: 106; 148).

Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის ბლოგი თემაზე: არასრულწლოვანთა უფლებები



Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი თემაზე Covid-19,

საგანგებო მდგომარეობა და არასრულწლოვანთა დისტანციური სწავლება იხილეთ აქ.

ორიენტ ლოჯიკი ცნობილი ამერიკული ბრენდის InFocus ოფიციალური პარტნიორი გახდა



InFocus უკვე 34 წელია ბაზარზე ოპერირებს და წამყვანი კომპანიაა DLP პროექტორების წარმოების თვალსაზრისით. კომპანია

აწარმოებს და ანვითარებს DLP პროექტორებსა და ინტერაქტიულ დაფებს.

აღნიშნული სიახლის საფუძველზე ორიენტ ლოჯიკის პარტნიორ ორგანიზაციებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ InFocus-ის უმაღლესი ხარისხის გადაწყვეტილებებით.

Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი საქართველოში სამემოსავლო გადასახადის თაობაზე



Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი საქართველოში სამემოსავლო გადასახადის შესახებ იხილეთ აქ.

თიბისის პირველი ქართული ნეობანკი - SPACE გერმანიის ბაზარზე შედის



თიბისი ნეობანკინგის პლატფორმას აფართოებს. Space გერმანიის ბაზარზე უკვე წლის

მეორე ნახევრიდან გამოჩნდება.

საერთაშორისო ბაზარზე შესვლის ჯამური ღირებულება დაახლოებით 4 მილიონი ლარი იქნება.

Space ერთ-ერთ გერმანულ ბანკთან პარტნიორობით მომხმარებელს ყოველდღიურ საბანკო პროდუქტებთან და სერვისებთან ერთად, დაკრედიტებას, ფულად გზავნილებს, საერთაშორისო კომუნალურ გადახდებს შესთავაზებს.

სფეისის მომსახურების მიღება სხვადასხვა ენაზე იქნება შესაძლებელი. ის ძირითადად გერმანიაში მცხოვრებ ქართველებზე იქნება ფოკუსირებული.

გერმანიის ბაზარზე გასვლამდე, Space და პარტნიორი ბანკი გერმანული რეგულატორის მოთხოვნების შესრულებას უზრუნველყოფენ.

გერმანულ ბაზარზე ნეობანკის მოდელის წარმატებით ამოქმედების შემდეგ, Space სხვა ევროპული ბაზრების შესაძლებლობებსა და ქართველი მომხმარებლების საჭიროებებს შეისწავლის.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიერთიანება

Nexia TA-ს და NTI Georgia-ს ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით: „2020 წლის ახალი ტენდენციები სამშენებლო სექტორში“.



5 მარტს, შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში, შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ესპანური საპროექტო საინჟინრო

კომპანია NTI-ს თანადამფუძნებელი, განახლებად ენერჯიაზე სპეციალიზირებული ესპანეთის წამყვანი ინჟინერი, TESLA-ს ოფიციალური ინჟინერი და პილოტი - აგუსტინ ჰაია ეწვია.

კონფერენციის მთავარი ამოცანა სამშენებლო სექტორში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი მართვის ჩვენება იყო. სამუშაო შეხვედრაზე მოხდა სამშენებლო პროექტის მენეჯმენტისა და დაგეგმვის პროცესის ვიზუალიზაცია.

Nexia TA-ს და NTI Georgia-ს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ პროფესიული წრეების, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ზემოთქმულთან ერთად განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ახალი ტექნოლოგიები სამშენებლო სექტორში; ბიზნეს პროცესების ტრანსფორმაცია სამშენებლო ინდუსტრიაში; ბანკის თვალთვლით დანახული სამშენებლო სექტორი; სახელმწიფოს როლი სამშენებლო სექტორის განვითარებაში; მომავლის ტექნოლოგიების გავლენა დღევანდელ მსოფლიოზე.

ინფორმაცია DWV-ზე

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) წარმოადგენს იმ ფორმატსა და საწევრო ორგანიზაციას, რომელიც გერმანულ-ქართულ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 180-ზე მეტ წევრს ითვლის.

DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია) მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგვემენტ ჯორჯია) და ანდრეას ჰაიდინგსფელდერი (შერატონ მეტეხი პალასი). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს მმართველი საბჭოს მრჩეველი წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად ეხმარება მათ ქართულ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზაად არის მოემსახუროს გერმანულენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: www.dwv.ge

თუ გსურთ თქვენი ბიზნეს აქტივობების გაფართოვება საქართველოსა და გერმანიის ბაზარზე, ამ მიმართულებით ჩვენ გთავაზობთ მრავალმხრივ მომსახურებას.

ჩვენი მომსახურების ჩამონათვალი:

- მისამართების მოძიება
- კონსულტაცია ბაზრის შესახებ
 - ბაზრის კვლევა
 - მისამართების მოძიება
 - ბიზნეს პარტნიორის მოძიება
 - ბიზნეს მეილინგი
- პერსონალი & ტრენინგი
 - სემინარები/ტრენინგები
 - პერსონალის მოძიება
- საოფისე მომსახურება
 - დროებითი პერსონალი
 - მთარგმნელობითი მომსახურება

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

- o მედიაცია
- დელეგაციები
- მესე ფრანკფურტი
- FRUIT LOGISTICA
- სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლობალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და ეხმარება საქართველოსა და სომხეთის მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამგზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: zaira.soloeva@dwv.ge

2019 წლის სექტემბრიდან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება FRUIT LOGISTICA-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში

FRUIT LOGISTICA წამყვანი საერთაშორისო გამოფენაა ხილისა და ბოსტნეულის სფეროში, სადაც აღნიშნული სექტორის მთელი სპექტრი და მონათესავე დარგებია წარმოდგენილი. ის 1993 წლიდან ეწყობა მესე ბერლინის მიერ და ყოველ წელს 3.000-ზე მეტ ექსპონენტსა და 76.000-ზე მეტ ვიზიტორს მასპინძლობს, რომელთაც FRUIT LOGISTICA-ს ფარგლებში კონტაქტების დამყარების უპრეცედენტო შესაძლებლობები იზიდავთ. როგორც Fresh Produce-ს ინდუსტრიის – როგორცაა ხილი და ბოსტნეული, ყველაზე დიდი გამოფენა, FRUIT LOGISTICA მესე ბერლინის საგამოფენო ტერიტორიაზე პუბლიკას სთავაზობს მისი ყველა საქმიანობის დარგისა და ბაზრის მონაწილეების გაცნობას. გარდა ამისა, ადგილზე

განიხილება ყველა ინოვაცია, პროდუქტი და მომსახურება ვაჭრობის ნებისმიერ სფეროში. გამოფენაში მონაწილეობენ კომპანიები მწვანე ასორტიმენტის პროდუქციის მთელი ჯაჭვიდან – გლობალური მოთამაშეებიდან მცირე და საშუალო კომპანიებამდე.

DWV საშუალებას აძლევს კომპანიებს უშუალოდ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა. შესაბამისად, გეძლევათ შანსი მონაწილეობა მიიღოთ გამოფენებში მსოფლიოს მასშტაბით თქვენი პროდუქტისა და მომსახურებების წარმოსაჩენად, ასევე შესყიდვებისა და კოოპერაციისთვის. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: zaira.soloeva@dwv.ge

SES პროექტი საქართველოში - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანელ ექსპერტებს აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 განსხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომსახურების სექტორებს, როგორებიც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითავსებს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: maria.bregadze@dwv.ge

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

